# კროს ფანტაზია

ფასი 40 თეთრი

№ 6(14)

1-10 ივლისი.1996 წელი


**ყველას, ვინც კი უფულოა, ან ვინც ფულის ფანტვაზეა**



## საკროსვორდო მემუარები

... კროსვორდს პირველად ამ ოცდახუთიოდე წლის წინ შევხვდით, როცა ჩვენი წინაპარი „ერუდიტებისაგან“ მემკვიდრეობით გადმოგვეცა 50-იანი წლების „ოგონიოკების“ ე.წ. „Подшивка“; ეს, იოსებისა და ნიკიტას (გვარები თქვენ გაიხსენეთ) საპარტიო-სახელისუფლებო ძიძგილაობის ეპოქალური სცენების ამსახველი ჟურნალები, ერთადერთი „ძაფით“ იყო დაკავშირებული ადამიანურ რაციო-ემოციებთან და, დიახ, დიახ... ეს გახლდათ კროსვორდი! მართალია, მაშინდელი ჩვენი საზოგადოება ვლადიმერ ილიჩისა და ლეონიდ ილიჩის (მათი გვარებიც გაიხსენეთ) მამაშვილური სიტკბოებით შევიდა 70-იანი წლების „Пятилетк“-ებში, მაგრამ კომუნისტურ ფანჯრებზე დემოკრატიული ბზარები რომ გაჩნდა, ამაში 35 წელს გადაცილებული ყოველი პოლიტიკ(იონი) დამეთანხმება, თუმცა ჯერ საკითხავია ეს დემოკრატიზაციის ჩანასახი იყო, თუ ამერიკანიზაციისა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ახლა უკვე ლენინის ნაცვლად ლენონის ჩაშიფვრას არჩევდნენ „უძრაობის“ ეპოქის კროსვორდისტები, რომელთაც 90-იანი წლებისგან განსხვავებით, ერთადერთი ერთკვირეული ასპარეზი გააჩნდათ და ეს იყო გაზეთ „თბილისში“ ყოველ შაბათს გამოქვეყნებული კროსვორდი! მართალია, ზოგიერთი ჟურნალი („დროშა“, „დილა“) პერიოდულად აქვეყნებდნენ ჩვენი კვლევის საგანს, მაგრამ „თბილისი“ თავისი მშვენიერი ტრადიციით, ჩვენს სიჭაბუკეს იმ პირველი კოცნასავით შემორჩა, რომელიც ქეთოს და კოტეს პეტერბურგისეულ ი მოგონებებიდან გვახსოვს...

## პოლიგლოტი

1. სპარსული ენის მე-3 გაკვეთილი
2. რუსული кроссворд-ი,
3. იაპონური ლინგვისტური ამოცანა!
4. ესპანური crucigrama
5. „შოტლანდიური ვისკი“ — გაგრძელება.
6. კანადურ-ავსტრალიური იუმორესკა და...
7. მალტა!

2

## კროსმაისტერი

1. „ფანტასმაგორია“ — რაღაც ზმანებრივი კონფიგურაციით.
2. მე-14 (კროს.) პარლამენტი.
3. ნუმერვორდი — რიცხვებით „შენიღბული“ სიტყვები.
4. ფრიად საინტერესო კროსვორდი
5. გრაფიკულ-ფონეტიკური სავარჯიშო ასო-ბგერათა თვლითა და ვარირებით.

3

## კროსგიგანტი

“კროს-ფანტაზიის”

ახალი რეკორდი

242

სიტყვა

4

## სერპანტინი



*ჩაწერეთ სიტყვები მითითებული რიცხვიდან რიცხვამდე.*

1-5. სასურსათო მაღაზია ყოფ. სსრკ-ში; 4-7. რაიმე ჯილდოს ან პრემიის ზოგადი სახელი; 6-10. სასუნთქი ორგანოების დაავადებით გამოწვეული სილურჯე; 9-13. აფრიკის სახელმწიფო; 11-15. ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვა და კონტრდაზვერვა; 12-17. (ქალბატონი) ანჯაფარიძე; 14-19. უღელტეხილი ლიხის ქედზე; 18-21. „სოფლისა მნათი მნათობი“; 20-23. ბოსტნეული; 22-25. საკულტო ჩვეულებათა ერთობლიობა; 24-27. სილის გაწვნის სახეობა; 26-29. ერთი გურული სიმღერის „პერსონაჟი“; 28-30. აცა-ბაცა მზირალი; 29-32. თბილისის არაბი მმართველი; 31-33. უკიდურესი ზომების მოყვარული; 16-34. მწერი; 33-35. დაკოდილი ცხენი; 34-37. ადგილობრივი მკვიდრი; 36-39. ძალზე ნიჭიერი კაცი; 38-41. ძვ. ეგვიპტელთა უმთავრესი ღვთაება; 40-44. მარცვლოვანი მცენარე; 42-45. ვაჟა-ფშაველას პოემის გმირი; 43-47. საუბრის სახეობა; 46-49. სასწავლებლის კვლავ აღორძინებული ფორმა; 48-50. გაფუჭება; 49-52. უარყოფითად დამუხტული იონი; 51-54. მტაცებელი ქვეწარმავალი; 53-56. თავის მოსაჭრელი მანქანა; 55-59. კომუნისტური საქართველოს უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელი; 57-62. უთვალავი; 60-63. სახის ნაწილი; 61-59. მომწიფებული ვირუსული ნაწილაკი; 64-66. სტალინური პარტიის ლიდერი; 65-68. უმაღლესი ნეტარება ბუდიზმში; 67-69. რევოლვერის სახეობა; 69-71. წვენის მისაღები ფხვნილი; 70-73. მსუბუქი საშინაო კოსტუმი; 72-74. მსოფლიო კინოხელოვნების ლეგენდა; 58-76. მუსიკალური პიესა; 75-78. ორგანიზაციებისთვის გამოყოფილი სახელმწიფო დახმარება; 77-80. კ-ფ „პირველი მერცხალის“ პერსონაჟი; 8-82. ხევისბერის ვაჟი; 81-84. წყლის მტაცებელი ძუძუმწოვარა ცხოველი; 83-3. „ფორტეს“ ანტონიმი; 79-86. დიპლომატური წერილი; 85-2. ციმბირის ტყის ზოლი.

## სენსაცია




*ჩვენ დიდი ხანია ვცდილობთ კროსვორდის ახალი ფორმების მოძიებას; ამ ნომერში გვსურს ერთი, ჩანასახში მყოფი, იდეის წარმოჩენა, რაც შემდეგში გამოიხატება: კვადრატის ნაცვლად აღებულია ექვსკუთხედი, რაც საშუალებას იძლევა, რომ სიტყვათა გადაკვეთა მოხდეს არა ორი, არამედ სამი მიმართულებით. ეს ურთულესი საქმეა, ამიტომაც ვიმეორებთ — ეს მხოლოდ ჩანასახია კროსვორდის ახალი ტიპისა, რასაც ჯერჯერობით არსად შევხვედრივართ (იგულისხმება მსოფლიო მასშტაბები), ასე რომ, ამგვარ მცდელობას ეგებ მომავალში ქართული კროსვორდი დაერქვას. სიტყვათა მიმართულებები მითითებულია ისრებით.*

ზემოდან ქვემოთ, დიაგონალზე: 1. მუჰამედ ალის ქრისტიანული გვარი; 4. პუგაჩოვების დინასტიის ყველაზე ცნობილი წარმომადგენელი; 5. ქართული ანბანის ასო; 6. ნარნარი ფრენა; 8. ჩანაფიქრი; 9. წვრილწვნიანნაყოფიანი მცენარეების საერთო სახელი; 16. ლათინური წინსართი, რომელიც აღნიშნავს მოქმედების გადალმა გადატანას; 17. „გვადი ბიგვას“ პერსონაჟი ქალი.

ქვემოდან ზემოთ, დიაგონალზე: 2. აფრიკის სახელმწიფო; 3. ფრანგული ესტრადის ვარსკვლავი ქალი; 4. კანონის ძალის მქონე დადგენილება ამა თუ იმ სფეროში; 7. ...ამოს კომენსკი; 10. ნაბიჯით ...; 14. აქემენიდთა დინასტიის წარმომადგენელი ერთ-ერთი მეფე; 15. ვოლგის ერთ-ერთი შენაკადი; 17. თბილისის ერთ-ერთი სასწრაფო სამედიცინო დახმარება; 18. ცნობილი ფრანგი კინორეჟისორი; 20. მაუგლის ერთ-ერთი მეგობარი.

ვერტიკალურად: 5. უეცარი შიში; 9. ძველებური სატრანსპორტო საშუალება; 11. ტიბეტური ხარი; 12. ფართობის საზომი ერთეული; 13. დროის ზმნიზედა; 18. „ის“, რასაც ვერაფერი შეაჩერებს; 19. იაპონური სალექსო ფორმა; 21. რა ტრიუმფალური ნაგებობაა პარიზში? 22. თბილისის ავიაკომპანია; 23. ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი.

შენიშვნა: ქართული ენის სპეციფიურობის გამო ორასოიანი კომბინაციები სიტყვას არ ქმნის.

## სურვილიც და იდეაც!

ვისაც ვებსტერის ლექსიკონთან ჰქონია საქმე, შემჩნეული ექნება ამ წიგნის ბოლოში დართული საკროსვორდო ლექსიკონი; ჰოდა, თუ ანგლოამერიკანიზაციაა, ბარემ ბოლომდე მივყვეთ ამ პროცესს და ჩვენც შევქმნათ ქართულენოვანი საკროსვორდო ლექსიკონი! ამიტომაც ვთხოვთ უახლოეს ორ კვირაში გამოსასვლელი ახალი 30 ქართული გაზეთის „შემქმნელებს“, რომ 1-2 ნომრისთვის ნუ შექმნიან „ახალ“ გაზეთს და დაზოგილი ქაღალდით გამოვცეთ „კროს-ლექსიკონი“...

— ჩვენ კი გვსურს, შევქმნათ რუბრიკა — „იდეებს რა ვუყოთ?!“

# შოტლანდიური ვისკი

(გაგრძელება)

## როგორ სვამენ ვისკის

...როგორც ითქვა, ვისკის სიძველე მის არომატიულობას განსაზღვრავს; ისიც ითქვა, რომ ამ შოტლანდიური ეროვნული სასმელისათვის შენახვის მინიმალური ვადა 3 წელია, თუმცა თავისი არომატულობის მწვერვალს 12-15 წლის ასაკის ვისკი აღწევს, შემდეგ კი მისი მრავალი კომპონენტი კარგავს თავის სურნელებას. მართალია, ცნობილია ისეთი ფაქტებიც, როცა ვისკი 20 წლის განმავლობაში მწიფდება, მაგრამ ეს უფრო გინესების წიგნის საკადრისი მოვლენაა და ამიტომაც ვისკის თან სდევს ხოლმე ასეთი რჩევა, რომ არჩევანის წინაშე აღმოჩენისას ზედმეტად არ დაინტერესდეთ სასმელის ასაკით. მწარმოებელს, როგორც წესი, გასაყიდად გამოაქვს იმ ასაკის ვისკი, რომელიც უკვე მზადაა საიმისოდ, რომ მომხმარებელმა სათანადოდ შეაფასოს მისი ღირსება. აქვე საჭიროა ერთი განმარტება, რომ საქმე ეხება მხოლოდ და მხოლოდ შოტლანდიელ ან ირლანდიელ მწარმოებლებს, რადგან ცნობილია, რომ მსოფლიო ბაზარი სავსეა სასმელებით, „ბლენდი“ რომ აწერია ეტიკეტზე, სინამდვილეში კი სადღაც მცხუნვარე მზის ქვეყანაშია დამზადებული (ვითომ საქართველოშიც?! — რედ.).

პირველივე კითხვა ასეთია: საჭიროა თუ არა გაზავება?

პასუხი: ყოველ მსმელს, ამასთან დაკავშირებით, თავისი თეორია გააჩნია.

დღესდღეობით გაზავების რამდენიმე საშუალებაა ცნობილი: ყინულით, სოდიანი წყლით, უბრალო წყლით და „კოკა-კოლითაც“ კი. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ „ბლენდთან“ სასურველია ყინულის ან კოკა-კოლას შერევა, „მოლტებთან“ კი — ახალი, არამინერალიზირებული წყლის ხმარება სასურველი, ანუ ისეთის, რომელსაც არანაირი მინერალის გემო არ დაჰკრავს. გაზავების პროპორციები კი შემდეგია: ერთი მეოთხედიდან ერთ მესამედამდე, რაც იმის საშუალებას იძლევა, რომ სურნელება არ დაიკარგოს და სიმაგრეც (42-46 გრადუსი) არცთუ ძლიერ დაეცეს. იმასაც დავამატებთ, რომ შოტლანდიის ბარებში ვისკისთან ერთად, თქვენი შეკვეთის გარეშე, წყლით სავსე გრაფინს მოგართმევენ.

არსებობს ვისკის სახეობები, მაგალითად — „ბოუმორი“ ან „ლაგავიულენი“, რომელთაც იმდენად ძლიერი სურნელი აქვთ, რომ მათი დალევა უშუალოდ საკვების მიღებისას არარეკომენდირებულია, რაკიღა ასეთ შემთხვევაში არც სასმელი და არც საჭმელი არანაირ სიამოვნებას არ მოგგვრით; ასე რომ, ამ სახეობის ვისკის აპერეტივზე, მადის გასახსნელად მიირთმევენ, უფრო მსუბუქი „ჯეი ენდ ბი“, „კლენ კემპბელი“, „ბელენტაინზი“ და „ჯონ უოკერი“ კი სავსებით წაადგება ნუგბარ საჭმელს.

ინგლისური პრესის მასალების მიხედვით

*(შემდეგ ნომერში გავეცნობით იმას, თუ როგორ პატივს სცემენ შოტლანდიელები ვისკის)*

# კანადა და კენგურუ

## (ისევ უცხო ენების ცოდნის შესახებ)

კანადაში, რა თქმა უნდა, კენგურუ არ ბინადრობს (ღმერთმა თეთრი დათვები უცოცხლოთ!), თუმცა ამ ორ სიტყვას შორის ერთი და მთავარი მაინცაა საერთო — ეს მათი წარმოშობის მიზეზი გახლავთ:

ერთხელ ორი ყრუ თბილისელი შეხვდა ერთმანეთს მეტეხის ხიდზე..

— სერგოჯან, აბანოში იყავი? — ჰკითხა ერთმა.

— ვანოჯან, ჩემი ბიჭი მემწვანილეს მივაბარე, კაცი გამოვაო — უპასუხა მეორემ.

— ჰოო, „ზნაჩიტ“ აბანოში იყავიო — ისევ ჩაილაპარაკა პირველმა ყრუმ და მეიდნისკენ წავიდა.

ძნელია სიყრუვე!

ის ინგლისელები, ავსტრალიას რომ ეწვივნენ პირველად, მართალია, ყრუები არ იყვნენ, მაგრამ პაპუასების ენას რომ მიუგდეს ყური, ესლა გაიფიქრეს: გინდა უცხო ენა მოგისმენია, გინდა ყრუ ყოფილხარ, რა განსხვავებააო?!

ჰოდა, რაღა ბევრი გავაგრძელო, ინგლისელები ამ ფიქრებში რომ იყვნენ გართულნი, საიდანღაც უცნაური, ჩანთოსანი ცხოველი გამოხტა... ერთ ინგლისელს გადაავიწყდა თავისი „სიყრუვე“ და იკითხა: „What is this-ო (რა არისო ეს).

— კენგურუ — უპასუხა პაპუასმა.

— კენგურუ ყოფილა (რიჩარდჯან), ჩაიწერე, არ დაგავიწყდესო... Let's go to England (ახლა ინგლისში წავიდეთო).

... რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, როცა პაპუასთა ენები შეისწავლეს ევროპელებმა, გაირკვა, რომ „კენგურუ“ მათს ენაზე ნიშნავს — „მე შენი არ მესმისო“.

ასეთივე ამბავი ფრანგებსაც დაემართათ, ჩრდილოეთ ამერიკაში რომ ჩავიდნენ; ერთ ფრანგს ბუმბულებიანი ესკიმოსისთვის უკითხავს (თან ხელით არემარე „შემოუხაზავს“): რა ქვეყანააო ეს?

„კანადა“ — უთქვამს ბუმბულებიანს.

... და ფრანგი წასულა პარიზში, თავის ივეტასთან თუ ჟორჟეტასთან.

არადა „კანადა“ ჩრდილოამერიკელ ინდიელთა ენაზე „ქოხს თუ კარავს“ ნიშნავს. მოდი და იმარჩიელე, ვანოსი და სერგოსი არ იყოს, ყრუმ ყრუს რა და რატომ და როგორ უთხრა...

და ბოლოს მორალი:

კენგურუც კარგია, კანადაც კარგია, არც აბანო და მწვანილი დაიწუნება, მაგრამ უცხო ენების ცოდნას არაფერი სჯობს!

გაზ. „პილიგრიმი“, 1995 წ.



**По горизонтали:** 10. Главный „спаситель“ тбилисцев зимой; 11. Часть ВУЗ-а; 12. Самая маленькая советская „легковушка“; 13. Главный герой корриды; 14. Полицейская птица — „автомобиль“; 17. Судейский возглас в футболе; 20. Денежная единица Швеции; 21. Цивилизированные „танцульки“; 22. Зернохранилище; 23. Главная „опасность“ для аквалангистов; 24. Главный „объект“ подражания современных грузинов. 26. Решающая встреча; 29. Общая работа на судне всей командой; 30. Чертежный инструмент; 31. Государство по отношению к своим колониям; 32. Ручной гимнастический снаряд; 33. Срочное сообщение по теллеграфу.

**По вертикали:** 1. Народ Финно-уйгорской языковой группы; 2. Подразделение в нек-рых родах воиск; 3. Белое щелочное кристаллическое вещество; 4. Углубление под землей с ходом наружу; 5. Действительное, вполне реальное событие; 6. Проверка; 7. Злейший враг Марии; 8. Часть игры; 9. Большая конусообразная сеть для ловли рыбы; 14. Домашняя птица; 15. Буква греческого алфавита; 16. Село Телавского р-на; 17. Нападение; 18. Часть театрального зала; 19. Корабль Колумба; 20. Искусственный водоем; 23. Крейсер большевиков; 25. Деньги Румынии; 26. (Господин) Бендер; 27. Местожительство чертей; 28. Домашняя утварь; 29. Вещество, заполняющее череп и канал позвоночника.

# პოლიგლოტი

## სპარსული ენა

| 5 | 4 | 3 | 2 | 1 |
|---|---|---|---|---|
| ث | ت | پ | ب | آ |
| | 9 | 8 | 7 | 6 |
| | ثابِت | بُت | تَب | باب |
| | | 12 | 11 | 10 |
| | | تِبِت | پاپا | پِتپِت |
| | | | | 13 |
| | ـن | ـنـ | نـ | ن |
| | | | | 14 |
| | ـی | ـیـ | یـ | ی |
| 19 | 18 | 17 | 16 | 15 |
| ناب | نان | بینی | این | آن |
| 24 | 23 | 22 | 21 | 20 |
| نَباتی | نایِب | نابینا | نابِت | ناباب |
| 29 | 28 | 27 | 26 | 25 |
| تایپ | پایان | تَن | بُن | نِی |

წინა ორ გაკვეთილზე ჩვენ შევისწავლეთ ანბანის პირველი ხუთი ასო: N1. „ალეფი“ — გრძელი ა; რომელსაც „ქუდი“ მხოლოდ სიტყვის თავში სჭირდება. N2 „ბე“ — ბგერა „ბ“, ერთი წერტილით ქვემოთ, N3 „ფე“ — ბგერა „ფ“, სამი წერტილით ქვემოთ, N4 „თე“ — ბგერა „თ“, ორი წერტილით ზემოთ და N5 „სე“ — ბგერა „ს“, სამი წერტილით ზემოთ.

გადაბმისას „ალეფი“ ებმის, მაგრამ თავად არ იბამს, დანარჩენი ასოები კი, რომლებიც „ხაზზე“ იწერება, გადაბმულობის კომბინაციებში ორმხრივ იბამენ და ებმიან და ამ დროს რჩება მათი „სხეულის“ მხოლოდ ნახევარი, ხოლო წერტილები ცენტრიდან მარჯვნივ გადაინაცვლებს.

ისიც ვისწავლეთ, რომ მოკლე ბგერები არ იწერება და სწავლების პროცესისთვის არსებობს მათი პირობითი აღნიშვნები: მოკლე ა (დამრეცი ხაზი ასოებს შორის ზემოთ), მოკლე ე (დამრეცი ხაზი ასოებს შორის ქვემოთ), მოკლე ო („მძიმე“ ასოებს შორის ზემოთ) და პატარა რგოლი, რომელიც აღნიშნავს, რომ თანხმოვნებს შორის ხმოვანი არ არის.

ახლა წავიკითხოთ ეს სიტყვები:

N6. „ბა:ბ“ (ჭიშკარი), N7. „თაბ“ (ციებ-ცხელება), N8. „ბოთ“ (კერპი), N9. „სა:ბეთ“ (მყარი), N10. „ფეთფეთ“ (ფუთფუთი), N11. „ფა:ბეფა“ (თანდათან), N12. „თებეთ“ (მწყერი).

### (მე-3 გაკვეთილი)

დღეს შევისწავლოთ ასო „ნუნ“-ი (N13), რომლითაც ბგერა „ნ“ გადმოიცემა და ასო „იე“ (N14), რომელიც გამოხატავს ბგერა „ი“-ს.

მარჯვნიდან მარცხნივ ნაჩვენებია, თუ როგორ იცვლიან ეს ასოები მოხაზულობას, გადაბმულობის კომბინაციების შესაბამისად: ა) „ნუნ“-ი და „იე“ თავისუფალ მდგომარეობაში (როცა არც იბამენ და არც ებმიან), ბ) გადაბმულობის კომბინაციის დასაწყისში („ნუნ-ი“ — ზემოთ ერთი წერტილით, „იე“ — ქვემოთ ორი წერტილით), გ) გადაბმულობის შუაში და დ) გადაბმულობის ბოლოში.

ახლა წავიკითხოთ სიტყვები:

N15 „ა:ნ“ (ის),

N16. „ინ“ (ეს) — ერთი განმარტება: სიტყვის თავში ასო „ი“ იწერება უქუდო „ალეფთან“ ერთად და აქ „ალეფი“ ხშირად არ იკითხება.

N17. „ბინი“ (ცხვირი), N18. „ნა:ნ“ (პური), N19. „ნა:ბ“ (წმინდა), N20. „ნა:ბა:ბ“ (მიუღებელი), N21. „ნა:ბეთ“ (რტო), N22. „ნა:ბინა:“ (ბრმა), N23. „ნა:იებ“ (მოადგილე, გაიხსენეთ „ნაიბი“ — ლეკთა ბატონი), N24. „ნაბა:თი“ (მცენარეული ზეთი, ასეთ წარწერას თბილისის ბაზრობებზე წააწყდებით), N25. „ნეი“ (ლერწამი, გაიხსენეთ — „მელნად ვიხმარე გიშრის ტბა და კალმად მე ნა რხეული“), N26. „ბონ“ (ფესვი); N27. „თან“ (ტანი), N28. „ფა:ია:ნ“ (დასასრული), N29. „თა:იფ“ (ბეჭდვა).

*P.S. წერტილები უნდა დაისვას მაშინ, როცა გადაბმულობის მთელი კომბინაცია მოიხაზება და კალამი მოსცილდება ქაღალდს.*

### საშინაო დავალება

გულს ნუ აიცრუებთ ამ „კაუჭების“ შემხედვარე; გარწმუნებთ, რომ ეს არცთუ რთული დამწერლობაა.

## crucigrama



ესპანური ენა დღეს ბევრმა არ იცის, თუმცა ამ კროსვორდის „ამოხსნა“ სულაც არ საჭიროებს ხსენებული ენის ცოდნას; ჩამოთვლილი სიტყვები თქვენ უბრალოდ უნდა გაანაწილოთ ჩარჩოში.

admirable, agonia, ajeno, ajo, al, ara, arena, aro, asa, atorar, aura, baba, balaca, beata, carabela, cia, cima, crucigrama (კროსვორდი), cruz (ჯვარი), darse, el, es, esencia, incendio, indio, isba (ქოხი, შეადარეთ — изба); letra, pana, pasarse, re, rotura, ruibarbo, urraca, utrero.

თუ ღმერთმა ქნა და ჩვენი გაზეთის მოცულობა გაიზარდა, ეგებ ესპანური ენაც შეგვესწავლა „პოლიგლოტში“, ჰა?!

# ლინგვისტური ამოცანა

მოცემლია იაპონური ფრაზები:

იტიტო-ნო ძო — ერთი სპილო
ნიხიკი-ნო ინუ — ორი ძაღლი
ნიმაი-ნო სარა — ორი თეფში
ნიხონ-ნო -იუბი — ორი თითი
სანკენ-ნო იე — სამი სახლი
სანნინ-ნო გისი — სამი ინჟინერი
სამაი-ნო ტიძუ — ოთხი რუკა
გონინ-ნო მუსუმე — ხუთი გოგონა
გოხონ-ნო კასა — ხუთი ქოლგა
როკუმაი-ნო სიმბუნ — ექვსი გაზეთი
როკუვა-ნო ცუბამე — ექვსი მერცხალი
სიტიხონ-ნო ემპიცუ — შვიდი ფანქარი
ხატიტო-ნო კუმა — რვა დათვი
კუხიკი-ნო უსაგი — ცხრა კურდღელი
კუხონ-ნო საო — ცხრა ჭოკი
ძიუტო-ნო უსი — ათი ძროხა
ძიუნიხიკი-ნო ხიცუძი — თორმეტი ცხვარი

..და სიტყვები:

ემპიცუ — ფანქარი, ხიცუძი — ცხვარი, კამი — ფურცელი, კოია — ქოხი, რაკუდა — აქლემი, ნეკო — კატა, კუდა — მილი, ტორა — ვეფხვი, ნეძუმი — თაგვი, ტიოტიო — პეპელა, ბინ — ბოთლი, კიპუ — ბილეთი, სენსეი — მასწავლებელი.

...ესეც დავალება:

თარგმნეთ იაპონურ ენაზე: ერთი ფურცელი, ორი ქოხი, სამი აქლემი, ოთხი კატა, ხუთი მილი, ექვსი ვეფხვი, შვიდი თაგვი, რვა პეპელა, ცხრა ბოთლი, ათი ბილეთი.

...უკეთესია, რა თქმა უნდა, თუ ჩანაწერს იაპონური დამწერლობით (იგივე იეროგლიფებით) შეასრულებთ.

# მაშრიყ-მაღრიბი

მალტის არქიპელაგი, რომელიც შედგება კუნძულების მალტა, გოზო, კომინოსა და ორი სხვა დაუსახლებელი კუნძულისაგან, ხმელთაშუა ზღვის შუაგულში, სიცილიიდან 93 კმ-ის მანძილზე მდებარეობს.

მთელი ფართობი 316 კვ. კმ-ს შეადგენს (მალტა — 246, გოზო — 67, კომინო — 2,7); კუნძულ მალტის სიგრძე-სიგანე შესაბამისად 27 და 14 კილომეტრს შეადგენს.

მალტაზე არც მაღალი მთებია და არც მდინარეებია და მთელი არეალი მცირე ბორცვებისაგან შედგება. მალტის სანაპირო ზოლი 137 კმ-ს შეადგენს და მთლიანად ქვიშნარი პლაჟებითაა მოფენილი.

მოსახლეობა — 350000 კაცი.

დედაქალაქი — ვალეტა.

აეროპორტი — ლუკა (ვალეტადან 6 კმ).

ნოემბერ-აპრილის საშუალო ტემპერატურა 14 გრადუსია, ხოლო მაის-ოქტომბრისა — 23, ზამთრობით თითქმის 7 საათის განმავლობაში, ხოლო ზაფხულში 11 საათი ანათებს მზე.

მალტას ყოველთვის ახასიათებენ, როგორც კონტრასტების კუნძულს, რადგან აქ თავს იყრის სივრცისა და დროის ოთხი პოსტულატი: აღმოსავლეთი და დასავლეთი, ანტიკური ხანა და თანამედროვეობა; მალტელები წარმოადგენენ სრულიად დამოუკიდებელ და თვითმყოფად ეთნოსს თავისი უძველესი ენით, რაზედაც არქიპელაგის მთელი მოსახლეობა მეტყველებს და რაც თავისი სტრუქტურით სემიტურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება. თუმცა მალტაზე ყველამ იცის ინგლისური ენა, ხოლო ცალკეული პირები მშვენივრად ფლობენ იტალიურ, ფრანგულ და გერმანულ ენებსაც.

# კროსმაისტერი




„ვარიაციები" (ოპუსი N1)

*ჩვენ გვსურს კიდევ ერთი „სერიალი" წამოვიწყოთ და ერთი სიმეტრიული ჩარჩოს მაგალითზე ნაირგვარი საკროსვორდო ფორმები შემოგთავაზოთ.*

თარაზულად: 7. „მარადმოცინარი" კუნძულის ადმინისტრაციული ცენტრი; 9. ბრტყელი კუთხეების საზომი ერთეული; 10. საფრანგეთის ქალაქი; 11. ნერვული სისტემის აღმგზნები ალკალოიდი (ეძებეთ ჩაიში); 12. ესპანეთის ისტორიული ოლქი; 13. ერთდროს პოპულარული ბულგარული სიგარეტი; 14. ღამის ფრინველი; 16. ეკლესიასტეს ცნობილი აფორიზმის ძირითადი ლექსიკური ერთეული; 20. 70-80-იანი წწ. იტალიელი ფეხბურთელი; 21. ლიდერს ადევნებული სუბიექტი; 22. ოპერეტების დიდოსტატი, უნგრელი კომპოზიტორი; 24. ქალაქი შოტლანდიაში; 25. ცისკარას სატრფო; 28. ღვინის დრეკადი ჭურჭელი; 30. ქეთოს მამობილი ლექთა ბატონი; 32. ნიუ-იორკის ცნობილი ქუჩა; 33. იტალიელი მსახიობი ქალი; 34. ფრანგული ვაშლის ღვინო; 35. ინგლისის მეორე სახელი; 36. ცნობილი ამერიკელი კალათბურთელი.

შვეულად: 1. აფრიკის სახელმწიფო; 2. მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი; 3. ხორბლის შეჭამანდი; 4. შესანიშნავი ნორვეგიელი კომპოზიტორი; 5. (ბატონი) ნაცარქექია; 6. სიძველეთა ერთობლიობა; 8. რუსების საყვარელი ვოკალური ნაწარმოები; 15. ორი ველოსიპედისტი; 16. უზბეკეთის ისტორიული ქალაქი; 17. ორი კაცის საუბარი; 19. იგივეა, რაც ანდამატი; 23. ქამრის ლითონისენიანი შესაკრავი; 26. უგულისყურო, ზედაპირული, ანუ... 27. (ბატონი) ბალანჩივაძე; 28. სამთა კავშირი; 29. ხელისუფალთა მიერ დადგენილი წესი; 30. უნაღდო ხარჯი; 31. საზოგადოებრივი სახე.



*შემოთავაზებული კროსვორდი ფრიად ფართო ფრონტზე ფუნქციონირებს. მას ფრთხილი, ფხიზელი და ფუნდამენტური (თუნდ ფლეგმატური) გონების ადამიანი სადღაც ფინალში ფონსგასული ჩასწვდება. ერთი სიტყვით, ამ კროსვორდის ერთი ფრიად ფუნქციონალური ფაქტორი გაგიადვილებთ მის ამოხსნას, თუ, რა თქმა უნდა, დროზე მიგვიხვდით ფანდსა თუ ფიქრს...*

თარაზულად: 1. ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია; 8. განსჯის პროცესი; 10. კედლის მხატვრობა; 11. დიდი ფორმატის სქელი წიგნი; 12. საფრანგეთის ელჩი საქართველოში; 13. უალკოჰოლო სასმელი; 14. ხელოვნების მიღწევათა ჩვენება; 15. ხის სასულე ინსტრუმენტი; 16. (ბატონი) მოსულიშვილი; 17. ჭიდაობის ხერხი; 18. საჭურჭლე, მინერალური მასა; 21. ძირითადი ფერი; 22. ზღაპრული არსება; 23. ცნობილი ქართველი მსახიობი; 24. წინასწარ მიცემული უპირატესობა; 25. ბავშვის საჭმელი; 26. დახშული ზედაპირით შემოსაზღვრული სივრცის ნაწილი; 27. თეატრალური ატრიბუტი; 28. ჯარისკაცის ლაბადა; 29. რისამე გარეგნული მოხაზულობა; 31. ჟერარ ფილიპის კინოროლი; 33. პურეული მცენარე; 34. რაიმეს მეწინავე პუნქტი; 36. იტალიის ქალაქი; 37. საქართველოს ლეგენდარული მეფე.

შვეულად: 1. ფოსფორმჟავას მარილი; 2. ნაცვეთი, ნაგლეჯი რამ; 3. მდ. ყვირილის მარცხენა შენაკადი; 4. განმაზოგადებელი მეცნიერება; 5. ბავშვების საჰაერო სათამაშო; 6. მუსლიმანთა რელიგიური განაჩენი; 7. ერთგვარი ხმალი; 8. მსუბუქი ეტლი; 9. გერმანელი ფეხბურთელი; 14. მარადმწვანე ბუჩქი; 16. ინგმარ ბერგმანის ფილმის პერსონაჟი გოგონა; 17. რისამე მარაგი; 19. უზბეკეთის ქალაქი; 20. საწერ-სახატავი საშუალება; 21. (ასევე) საწერ-სახატავი საშუალება; 23. რაიმე მოვლენის ცალკეული სტადია; 24. გერმანელთა ბელადი; 26. შენობის ფასადის ნაწილი; 27. ზამთრის გასულს წარმართულ-კულინარული რიტუალი; 29. ზამთრის აუცილებელი ატრიბუტი; 30. სულხან-საბასეული მეფე; 32. ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაცია, 33 ცხოვრების ატრიბუტი; 35. სოფელი ქარელის რაიონში.

## №13-ის პასუხები

N13-ის პასუხები

(სასწავლო-საწვრთნელი სეანსი)

1. ტიტანიკი; 2. ოსირისი; 3. პოზიტივი; 4. მიჩიგანი; 5. ნინევია; 6. ვირი; 7. ივანე; 8. კილანინი; 9. მეკონგი; 10. ჩელინი; 11. განივი; 12. ნინია; 13. ერევანი; 14. ოსინიკი.

(Made in Fantasy)

1. ფლობერი; 2. ლაფონტენი; 3. ორურო; 4. ბალტაჩა; 5. ილია; 6. ანფასი; 7.(თ) ფრე; 7.(შ) ფრთა; 8. რიარია; 9. ფარა; 10. ფლანდრია; 11. ფული; 12. ფუთა; 13. აორტა; 14. აჯა; 15. ჯაზი; 16. არი; 17. ანოა; 18. კანონნი; 19. ასი; 20. ინდი; 21. აბზინდა; 22. ბეარზოტი; 23. დრონი; 24. ნება; 25. ნეი; 26. შიო; 27. ნია; 28. ნიორი; 29. რეა; 30. ნიკიფორე; 31. კონკისტადორი; 32. ნეო; 33.(თ) ტუია; 33.(შ) ტურა; 34. ტონინიო; 35. ნოკდაუნი; 36. ცაიში; 37. ტოკიო; 38. ტირანია; 39. აგარაკი; 40. ნურადინი; 41. აგური; 42. აბსიდა; 43. ამაზონი; 44. ასტრა; 45. ამირანი; 46. ირინა; 47. ნინიძე; 48. ზარადი; 49. ზადენი; 50. ალადინი; 51. ეტალონი; 52. ზიკინა; 53. ზლოტი; 54. ზონინი; 55. იარა; 56. იენა; 57. იდილია; 58. იფანი; 59. იფი; 60. იჩი; 61. ანანასი; 62.ადა, 63 არა; 64. სიო; 65. აჩუ; 66. აიდინი; 67. აინი; 68. ომინი.

(Кроссворд)

1. Давитиани; 2. Анзор; 3. Воина; 4. Астория; 5. Интимный; 6. Шанс; 7. Лир; 8. Иза; 9. Кво; 10. Иебоа; 11. Арес; 12. Джавахишвили; 13. Изувер; 14. Нос; 15. Изувер; 16. Сесилия; 17. Визит; 18. Панцирь; 19. Мракобес; 20. Лось; 21. Иконописец; 22. Ономастика; 23. Осел; 24. Тарарам; 25. Хорава; 26. Вестибюль; 27. Претория; 28. Адрес; 29.(г) Вис; 29.(в) Система; 30.(г) Паяцы; 30.(в) Озарение; 31. Савле; 32. Тюк; 33. Сель; 34. Народ; 35. Самтависи; 36. Гондола; 37. Изер; 38. Лирика; 39. Ева; 40. Иерарх; 41. Стяг; 42.(г) Ателье; 42.(в) Эскп; 43.(г) Висконти; 43.(в) Амбар; 44. Эроси; 45. Валет; 46. Коза; 47. Амия; 47.(г) Кеб; 48. Сер; 49. Америка; 50. Мюид; 51. Онихия; 52. Атом; 53. Алио; 54. Пиявка; 55. Образия; 56. Кран; 57. Аякс.

(კროს)პარლამენტი

1. ავჭალა; 2. ალტაფინი; 3. მარადონა; 4. კარაჯიჩი; 5. მექსიკა; 6. ბასტილია; 7. გარანტია; 8. სიმეტრია; 9. იზმირი; 10. გვალვა; 11. არენა; 12. არიოზო; 13. მარაკანა; 14. ტრაპეცია; 15. ჯაიჩი; 16. რადიმოვი; 17. ლიტურგია; 18. ჩვარი; 19. კაზირაგი; 20. ატაშე; 21. რურუა; 22. არახამია; 23. ხორხე; 24. იარდი; 25. ბავარია; 26. ვერდერი; 27. გერმანია; 28. მაიოროვი; 29. ნორვეგია; 30. ასათიანი; 31.(თ) ვალენსია; 31.(შ) ვარიაცია; 32. ლატიშევი; 33. ნეიტრალი; 34. თერგი; 35. გერსონი; 36. მალიორკა; 27. ალვირი; 38. როტშილდი; 39. დონორი; 40. თერგი; 41. კვარტეტი; 48. აფშერონი; 43. გრივსი; 44. ნენსი; 45. ვალერი.

(კროსმაისტერი)

1. რემარკა; 2. სპრინტი; 3. ლუზა; 4. იენა; 5. ეროტიკა; 6. ლივერპული; 7. კვიმატი; 8. კრაზანა; 9. ივანოვი; 10. რევერანსი; 11. ესპერანტო; 12. კლერიკალი; 13. კონსტანტა; 14. ნეგომბო; 15. გერი; 16. ესპანიოლი; 17. ალოე; 18. შევალიე; 19. რადიუსი; 20. ტროტილი; 21. რეკორდი; 22. ანარქია; 23. კანტონა; 24. კარავაი; 25. მოლიერი; 26. რიორიტა; 27. ოსლო; 28. სტიმოროლი; 29. აუტი; 30. ნეტო; 31 ბარი; 32. ელბერდი; 33. რომარიო; 34. ოპერატორი.

## ნუმერვორდი



ყოველ რიცხვს ერთი ასო შეესაბამება; იმედია, ლოგიკისა და დაკვირვების წყალობით, არ გაგიჭირდებათ სიტყვების ამოკითხვა. თქვენი ამოცანის გასაადვილებლად კი მოგახსენებთ, რომ შემდეგ სიტყვებს გადაეყრებით: კარეკა, კბილანა, კობრა, კუბა და ა.შ.

## (კროს)პარლამენტი




საზაფხულო არდადეგების წინ ჩვენს „პარლამენტში", ბუნებრივია, საკურორტო განწყობა სუფევდა და ამიტომაც მე-14 ნომრის „სხდომათა დარბაზში" დიდი რიხითა და შემართებით შევიდა გამარჯვებული ბლოკი, რომელსაც საკმაოდ ნოსტალგიური სახელი ეწოდა:

**ფრაქცია — „ზაფხულია, ცხელა, ცხელა". (30 წევრი)**

*პირველი ქვეფრაქცია — „საავგარ აკო სიყვარული" (7 წევრი)*

**N2.** ზღვაზე ხშირად შემოგხვდებათ „ზაგარ"-ოსანი ქალბატონები, მაგრამ ყველას ნუ ჩათვლით „იმ" შოკოლადადწოდებულ ტოპ-მოდელად.

**N20.** იტალიელი პოეტი პეტრარკა 26 წელი უმღეროდა თავის გარდაცვლილ სატრფოს (რა ერქვა მას?); თქვენ კი ვითომ ლექსებისთვის გეცლებათ ამ არდადეგებზე?

**N33.** ლექსებმა ხევსურეთი გამახსენა... როგორ მოიხსენიებენ იქ სატრფოს?

**N38.** ჩვენი რჩევა: ეცადეთ ისეთი ქალი გაიცნოთ, რომელიც ოდნავ მაინც ემგვანება ულამაზეს რუმინელ ნადიას... მონრეალის ოლიმპიადის ფერიას!

**N39.** აქ ერთი საალერსო-საფრინველო სიტყვაა ჩაშიფრული.

**N43.** ახლა მოდაშია ქალ-ვაჟის ურთიერთობის აღმნიშვნელი ეს სიტყვა.

**N45.** და ბოლოს: ყველა ქალში არის ის არსება, როგორიც იყო მექსიკელი მარიას უბოროტესი მტერი... გაიხსენეთ და გახსოვდეთ მისი სახელი!

*მეორე ქვეფრაქცია — „საზღვაო კრუიზი" (13 წევრი)*

მართალია, **N34** ძალით წაგვართვეს სეპარატისტებმა, მაგრამ ჩვენი წარმოსახვითი კრუიზი მაინც იქიდან უნდა დავიწყოთ და გადავცუროთ პირდაპირ ბულგარეთის კურორტისკენ (**N!5**), სადაც შეგახსენებთ, რომ „ის წვრილი (**N7**) ფული" საერთოდ აღარ მოქმედებს და **N5** საზღვაო-სასეირნო საშუალების დასაქირავებლად მხოლოდ დიდრონი ლევები დაგჭირდებათ; მერე გავცუროთ კვიპროსისკენ, შევიაროთ „ამ ქალაქში" (**N32**), აქედან წავიდეთ ზემოთ, ყოფ. იუგოსლავიის რესპუბლიკაში (**N6**), შემდეგ, უყურადღებოდ დავტოვებთ რა იტალიას (იქ ახლა გლოვაა ევრო-96-ზე წარუმატებლობის გამო), მცირე ხანს შევჩერდეთ ერთ „ჯუჯა სახელმწიფოში (**N1**) და მივადგეთ, სენიორ ჩემო, ესპანეთს".

**N10** — ზღაპრული ციხე-სიმაგრეების ქალაქი

**N13** — ზღაპრული ფესტივალის ქალაქი (სტუდია „მაესტროს" თანახმად)

**N27** — ზღაპრული კასტანიეტების ისტორიული მხარე

**N31** — ზღაპრული რივიერას მშვენება — ქალაქი (სხვათა შორის, ეს პარლამენტარი უკვე ზედიზედ მესამედ იმარჯვებს არჩევნებში!)

**N40** — ზღაპრული ცეკვა (ბრაზილიიდან შემოსული)

**N11** — აქ პატარა გაუგებრობაა: მართალია, ეს „დაწესებულება" თბილისშია, მაგრამ ალა-მაჰმად-ხანისთვის ის იყო საოცნებო „ზღვაც", „კურორტიც" და „ატმორიც"

*მესამე ქვეფრაქცია — „ფანჯარა ევროპაში" (7 წევრი)*

**N3 და N14** — ნაპოლეონის ბრძოლების ადგილები

**N19** — დანია, ჰამლეტი... რა ერქვა მის ცნობილ კოშკს?

**N21 და N28** — ინგლისი... პირველი ნიშან-თვისება კლიმატს უკავშირდება, მეორე — საზოგადოებრივ წეს-ჩვეულებათა ერთობლიობას.

**N26** ინგლისის დასავლეთით, ირლანდია... მისი დედაქალაქი?

**N25** — კაცი, რომელიც მოგზაურობს (ოღონდ წინ შოპ-ს ნუ დაურთავთ) აღნიშნული მარშრუტით.

*მეოთხე ქვეფრაქცია — „1001 ღამე" (3 წევრი)*

**N4** — აქლემი, Camel, აქლემი, Camel... და სახედარიც!

**N30** — არაბს ბიბლია „ასე" მოიხსენიებს.

**N17** — ბარემ აფრიკაც აქვე იყოს „ერთი თავისი ქვეყნით".

**ფრაქცია — თბილისში დარჩენილნი**

(16 მაჟორიტარი)

8. მონათა აჯანყების ბელადი; 9. ქიმიური ელემენტი; 12. სამხრეთამერიკული ეგზოტიკური ცხოველი; 16. დავა, კამათი; 18. საღამოჟამს „ეს" მაინც გაგვაგრილებს; 22. 1962 წ. ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი; 23. ღმერთმანი, ამ სიცხეში „ამ" ფრანგი კლასიკოსის „ჰანტაგრუელებს" ვერ წავიკითხავთ; 24. ასაფეთქებელი ნივთიერება; 29. მღვდელთმსახურების სახესხვაობა; 31 (შვეულად). თავისუფალი ადგილი; 35. დიდი ბაყაყი; 36. თავმდებობა, ნდობის საბუთი; 41. ორი ჯოხი, ბევრი ბურთულა და აზარტი; 42. ფრინველის „იარაღი"; 44. ნარჩენი. 37. განთიადი, აისი (როცა ეს კროსვორდი დავასრულე — ავტორი).

## ფონოვორდი



ამ კროსვორდს 72 ასო აკლია. გთავაზობთ ნაკლულ ასოთა რაოდენობას და გთხოვთ აღადგინოთ კროსვორდი:

ა-11 ე-3 ი-13 ო-7 უ-5

ნ, რ, ს — თითოეული 4-ჯერ

გ, ტ, ფ — თითოეული 3-ჯერ

ბ, ლ — თითოეული 2-ჯერ

დ, ვ, კ, მ, ძ, ჭ, ჯ, ჰ — თითოჯერ

# მოგიძღვენით ამ "გიგანტის" საკროსვორდო ფანტაზია!



## თარაზულად:

1. ბელგიის „ბათუმი“; 13. (იმავე) ბელგიის „იორი“ (თუნდაც „ალაზანი“); 18. ცრუმორწმუნეების „მედალიონი“; 24. (იმავე) ცრუმორწმუნეების „მეცნიერება“; 28. აშშ-ს ქალაქი, სადაც ხუან-კარლოსი იცრემლებოდა მარიაზე ფიქრში; 29. მთა, რომელსაც აკაკი წერეთელი „ულუმბოდ“ მოიხსენიებს; 31. ლუმპენ-პროლეტარიატის წარმომადგენელი კ.ლორთქიფანიძის რომანში; 34. რაიმეს მისალებ-გასაცემი დოკუმენტი; 35. დოყლაპიას კოლეგა; 37. გიგანტური კირქვოვანი წარმონაქმნი გამოქვაბულში; 38. მდინარე, რომელიც ერთვის მკვდარ ზღვას; 40. ცნობილი იტალიელი კინორეჟისორი; 41. იაპონური ავტომობილი; 42. პარკოსანი ბალახი; 43. ბრაზილიელი ფეხბურთელი... სერეზო; 44. საქართველოს მეზობელი ქვეყანა; 45. თავდასხმის სახეობა; 47. მრავალგზისობის აღმნიშვნელი სუფიქსი; 49. დასუსტება ანუ...; 50. შესანიშნავი ქართველი რეჟისორი; 52. დედამიწის მოდელი; 54. ძვ. ბერძენი ფილოსოფოსი; 57. (ქალბატონი) გურგულია; 58. „ფრანგული“ საჩუქარი; 59. პურის გარეთა სქელი მხარე; 60. სავაჭრო მოედანი ძვ.საბერძნეთში; 62. „პირობიდან“ წარმოებული სახელმზნა; 64. „მერსედესის“ მეორე ნახევარი; 67. მურმან ლებანიძის ლექსის პერსონაჟი; 68. აფროდიტეს სატრფო; 69. ბიბლიური პერსონაჟი 71. ვერგაპრეზიდენტებული „მხედარი“; 72. რუსი გენიოსის მშობლიური ქალაქი; 74. ვაშლიც, ვარდიც და ბოლოკიც; 76. პურზე ამოსული „სოკოები“; 78. ინგლისური კაჟიანი თოფი; 80. მჟღერის ანტონიმი; 82. გრიგოლ ორბელიანის ლექსის „გმირი“ პერსონაჟი; 83. „ევრო-96“-ის ტკბილი სპონსორი; 88. სოსო გოგიჩაიშვილის კინოროლი კ-ფ „შეხვედრა წარსულთან“; 91. „ევრო-96“-ის ჩეხი პერსონაჟი; 92. იტალიელი არქიტექტორი (1910-1945); 94. სირიის „ქუთაისი“; 95. 9 აპრილის „გენერალი“; 97. მდ. ამაზონის მარჯვენა შენაკადი; 99. მომგებიანი ქულა ძიუდოში; 102. პერიგეის ანტონიმი; 103. ყოფ. გდრ-ის ქალაქი; 105. საფრანგეთის ქალაქი; 107. ფინეთის პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე (მე-19 სკ-ში); 109. მე-19 სკ-ის ფრანგი გრაფიკოსი; 110. უბენზინო ტრანსპორტი; 114. თურქეთის ქართველი; 115. კომპიუტერული თამაში; 116. ბერძნული წინსართი; 117. რა აკლია სანჩეს-ვიკარიოს?; 119. პოლონეთის ქალაქი; 120. მე-17 ს. ფრანგი დრამატურგი; 121. ფრანგი იმპრესიონისტი; 123. ქართული ღვინო; 127. საქართველოსთვის საჭირბოროტო სამეურნეო დარგი; 128. ზოდიაკალური ნიშანი; 129. „იუვენტუსის“ „ფანტომასი“; 130. სუსტი გრუნტების გამაგრების ქიმიური პროცესი; 132. ქსოვილისაგან შეკერილი საგნის დამცავი ზედაპირი; 134. რუსთველისეული ლექსი; 135. ესტრადის მსახიობ ციმაკურიძის მეტსახელი; 136. რა კატეგორიის ქმედებაა ფაფის ჭამა; 138. ტოკიოს „რუსთავი“; 141. (ქალბატონი) ისაკაძე; 142. გრძელი უტარო მათრახი; 145. ოლიმპიური თამაშების ყველაზე ტიტულოვანი ბადროს მტყორცნელი; 146. რუსეთის ერთ-ერთი ავტონომიური რესპუბლიკა; 149. კალოევიც, გუცაევიც და ცხოვრებოვიც; 151. ავტომობილის კორპუსი; 152. ჰომეროსის პოემა; 153. თითოეული ის რიცხვი, რომელიც ვერც მთელი და ვერც წილადური ერთეულით ვერ გადმოიცემა; 156. (კიდევ ერთი) ქართული ღვინო; 159. „შავყურა თეთრი“ ძაღლი; 161. გერმანელი ქალბატონი; 163. პროვინციელი ჟარგონული ვარიანტი; 164. ტერიტორია, სადაც ყველაზე მეტი შავი ფერია კონცენტრირებული; 166. მდ. შელდის ფრანგული სახელწოდება; 168. აზოტისა და წყალბადის ნაერთი; 171. ირანის დიდ შაჰთან „დაკავშირებული“ ფულის ოდენობა; 174. ფრენის სახეობა; 175. პატარა ქალაქი ფლორენციის სიახლოვეს; 176. აღდგენა; 180. „ჰენრიხის“ ესპანური სახესხვაობა; 181. სოფელი გორის რაიონში; 184. ოპერის ტექსტი; 188. მემკვიდრეობითი ცვლილებების წარმოშობის პროცესი; 189. ხაიამისეული ლექსი; 191. სოფელი თელავის რაიონში; 193. ცნობილი იტალიელი კინომსახიობი ქალი; 195. უნაღდო ანგარიშსწორება; 196. უდანაშაულობის საბუთი; 197. მერკურის აღმოსავლური სახელწოდება; 199. (კიდევ ერთი) სოფელი გორის რაიონში; 201. ფრანგ მეფეთა დინასტია; 202. ქალაქი და ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 204. ცხენის მოსართავი; 205. ვულკანი ანდებში; 207. რუსეთის ინდუსტრიის გიგანტი; 211. სოფელი დუშეთის რაიონში; 213. სამიწათმოქმედო იარაღი; 214. მუსლიმანთა რელიგიური პირი; 215. „გვადი ბიგვას“ პერსონაჟი ქალი; 216. ძვ. ბერძენი მომაჯადოებელი მომღერალი; 218. მსუბუქი ძილი, ანუ...; 219. საფრანგეთის ქალაქი; 220. საოცარი ოსტატობით აღჭურვილი მუსიკოსი; 221. ცხიმოვანი თხევადი ნივთიერება; 222. ცხოველთა სამყარო; 223. ერთგვარად „მოაზროვნეთა“ გაერთიანება; 224. საერთაშორისო კინოპრემია; 225. გერმანიის მდინარე.

## შვეულად:

1. „ტიტების ქვეყნის“ დედაქალაქი; 2. „ტაიმ-აუტის“ წამყვანი; 3. აზიის მთათა სისტემა (იწერება დეფისით); 4. დღევანდელობის მიერ მოტანილი ტოტალური პრობლემა; 5. ქალთა უფლებების დამცავი პროცესი; 6. აიდახოს შტატის ქალაქი, აშშ; 7. დიპლომატიური წერილი; 8. საბჭოთა თვითმფრინავების სერია; 9. პეპიას როლის შემსრულებელი კ-ფ „გლახის ნაამბობში“; 10. ბაკულას „საყვარელი“ ცხოველები; 11. აფრიკის ჩრდილოეთი ნაწილი; 12. ხალხი, რომლებმაც ტროელებს ხის ცხენი გაუგზავნეს; 14. იალქნისათვის განკუთვნილი ძელი გემზე; 15. გფრ-ს სახელმწიფო მოღვაწე (1876-1967); 16. მთიელთა საკრებულო; 17. ჩოლა-პუქტოს ადმ. ცენტრი, სამხრეთ კორეაში; 19. მარი ფრანსუა არუეს ფსევდონიმი; 20. დროსტარების ჟარგონული სინონიმი; 21. ზოგიერთი წყილჩლიქოსანის ჯოგი; 22. მაიმუნი: რომელსაც მალაელთა ენაზე „ტყის კაცი“ ჰქვია; 23. რთულყვავილოვანთა ოჯახის მრავალწლოვანი მცენარე; 25. ინდოევროპელთა თვლის სისტემის საფუძველი; 26. კ-ფ „ლონდრეს“ პერსონაჟი; 27. (ბატონი) ვაიდა, პოლონელი კინორეჟისორი; 30. ფოტოგრაფირებისათვის გამიზნული სხეულის მდგომარეობა; 32. სახიჩარი, ინვალიდი, საპყარი... კიდევ? 33. ლერმონტოვის „მასკარადის“ მთავარი პერსონაჟი; 35. ერთი ან ორწლოვანი ბალახოვანი მცენარე; 36. ფრანსუა რაბლეს ნაწარმოების პერსონაჟი; 39. ზოგიერთი ცხოველის ცხვირი და პირი; 46. „მსუბუქი ყოფაქცევის“ ფრინველი; 48. თარაზული N60 თავისი არსით; 49. მე-20 საუკუნის რუსი ფერმწერი; 51. ციხესიმაგრის დამცველი; 53. ხორციანი საკვების თხევადი საკმაზი; 55. ენერგიის გარდამქმნელი; 56. ხელოვნური წყალსატევი; 61. სილის გაწვნა; 63. ერთი ერის გაერთიანება უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე; 65. იგივეა, რაც ებრაელი; 66. ესპანურენოვან ქვეყნებში გავრცელებული მამაკაცის სახელი; 70. ჩეხეთის ქალაქი; 73. სხეულის ნაწილის მოკვეთა; 74. ავტო-მოტო-ველო „სპორტსმენი“; 75. ძვ.ბერძენი ფილოსოფოსი; 77. დღევანდელი ჰოლივუდის ვარსკვლავი (ბატონი ჩარლზი); 79. აშშ-ს შტატი; 81. წრეწირის ნაწილი; 84. საბერძნეთი ბერძნულად; 85. ერთ-ერთი ჟურნალისტური პროფესია; 86. მცირე ბალახოვანი სივრცე; 87. მცირე ბიზნესის წარმომდაგენელი, მეწარმე; 89. კულინარიული ატრიბუტი; 90. ქრონიკული ფსიქიური დაავადება; 91. ქართული ზმნის კატეგორია; 93. ქართული მისტიურ-ეზოთერული გაზეთი; 96. თურქეთ-სირიის ისტორიული ოლქი; 97. დიპლომატიური ლექსიკონი; 98. სასაძირკვლე გათლილი ძელი; 100. რუსული ესტრადის ვარსკვლავი, სახელად ნატაშა; 101. შხამიანი გველი; 103. რუსეთის მდინარე, რომელიც სათავეს იღებს ურალში; 104. შუასაუკუნეების სპარსელი პოეტი; 106. რა არის ცალკე აღებული პიროვნება; 108. პოლიტიკური აქტი, რომელიც რუსულად ასე იშიფრება — „კატების ჩხუბი“; 111. გერმანული ავტომობილი; 112. რაიმე სპორტული მოძრაობა; 113. ინგლისელი ზღვაოსანი (1540-1596); 118. ვინ არის აკაკი ასათიანი? 121. გლეხის „კოლეგა“; 122. ჩინეთის პორტი; 124. სადენების ერთობლიობა; 125. გავრცელებული ინგლისური სახელი (წოდ. ბრ.); 126. ყირგიზეთის ქალაქი; 129. იგივეა, რაც აგარაკი; 131. „ბედის მონახევრე“; 133. გავრცელებული ფრანგული სახელი (წოდ. ბრ.); 136. ვისკის დასამზადებელი „ნედლეული“; 137. ყოფ. გდრ-ის ქალაქი; 139. მდინარე და ყურე კუნძულ ხოკაიდოზე, იაპონია; 140. თბილისის მდინარე; 141. ინდოჩინელთა ღვთაებრივი ყვავილი;143. იგივეა, რაც მსაჯი; 144. ახალი რადიკალური ღონისძიებების მომხრე პირი; 147. ენერგიისა და მუშაობის ერთეული; 148. ბერძნული ანბანის ასო; 150. „სკუადრა აძურას“ ხელმოცარული მწვრთნელი; 151. ერთ-ერთი ახლო ნათესავი; 154. მდ. რაინის მარცხენა შენაკადი, შვეიცარია; 155. რუსეთ-ჩინეთის ერთ-ერთი სასაზღვრო მდინარე; 157. (ქალბატონი) კემპბელი, ცნობილი ტოპ-მოდელი; 158. ირანის ფულის ერთეული; 160. გიჟი - გადარეული 31 დღე; 162. ვასო გოძიაშვილის კინოროლი; 165. სურნელოვანი ბალახი; 167. თანამედროვე რუსი ვირტუოზი მევიოლინე; 169. ყველაზე ცნობილი ავაზა; 170. მდინარე, რომლის პირასაც სეირნობენ „ფიორენტინას“ ფეხბურთელები; 171. წერილობითი თხოვნა; 172. „აღმოსავლეთის პარიზად“ წოდებული ქალაქი; 173. ძვირფასი ნივთებისთვის განკუთვნილი პატარა ყუთი ან კოლოფი; 174. ოდისევსის სიმამრი; 177. უპატრონო, უთვისტომო...; 178. იმპულსი, ბიძგი; 179. ჰიმალაებში „მობინადრე“ თოვლის კაცი; 182. დიუმა-მამას რომანი; 183. მდ. რუსეთის ევროპულ ნაწილში; 185. წყვდიადის სინონიმური სახესხვაობა; 186. გიორგი წერეთლის რომანის პერსონაჟი ქალი; 187. სავანე უკაცრიელ გარემოში; 190. ხრიკი, ინტრიგა; 191. (ბატონი) ნადირაძე; 192. სოფელი ოჩამჩირის რაიონში; 193. ბანქოს ერთ-ერთი ნახატი; 194. ლონდონის ცნობილი მუზეუმის დამაარსებელი „მადამი“; 198. ტრისტანის სატრფოს სახელი ქართული ინტერპრეტაციით; 199. „მატერის“ პირველი ნახევარი; 200. ზაპოროჟიელი ტარასის გვარი; 203. წუხილი, დარდი, ვარამი...; 206. ყველაზე მჭიდროდ დასახლებული კუნძული დედამიწაზე; 208. აღმოსავლეთ თურქეთის პატარა ქალაქი; 209. პოეტური შთაგონების წყარო; 210. ქართული სახელი, რომელიც პოეტის სინონიმად აღიქმება; 212. ახლის აღმნიშვნელი ინგლისური პრეფიქსი; 217. ნორვეგიელი ქალბატონი.

### №13-ის პასუხები

თარაზულად: 26. ტრიგონომეტრია; 27. თავანი; 28. შთამომავლობა; 29. მონრო; 30. ეინდჰოვენი; 31. ნარჩიტა; 32. სოუსი; 34. საიმური; 35. სუკი; 36. ნუგა; 37. კრაველი; 38. ზარატუშტრა; 39. არმადა; 42. ანანასი; 44. ამიაკი; 46. ირანი; 47. მორენკეცი; 48. ისუნდერი; 49. ქარვასლა; 50. აჟიოტაჟი; 51. ჟირესი; 52. ოსიკო; 53. ილიამნა; 59. ნავი; 60. მილიცია; 62. იზა; 64. ოვალი; 65. კერი; 67. იეს; 69. შურთხი; 70. გრიგალი; 71. ანთალია; 72. ემალი; 75. კილოკავი; 77. იკიკე; 78. ცედენბალი; 79. მიამიტი; 81. სტალინი; 82. ოთხვანი; 83. ასლანი; 85. რბილი; 86. ბახ; 89. ონომა; 92. ლამე; 94. ჯარიმა; 95. სერ; 96. ქავთარაძე; 97. ოძელაშვილი; 98. ანო; 99. ოკა; 101. დიკენსი; 102. ისტერია; 103. ალერსიანი; 104. პუმა; 105. არსაკიძე; 112. მოივა; 113. ოიამა; 115. ორანი; 117. სელიტრა; 118. რევერსი; 120. არე; 124. ლონდრე; 125. კატამარანი; 127. ამალგამა; 129. სტინგი; 131. ბილინა; 132. ბირმა; 133. რაფსოდია; 135. ზვარაკი; 137. აბეზარა; 138. ამერიკა; 139. ფრანკფურტი; 140. ალისა; 141. პაი; 142. აცანა; 143. ვიალი; 148. უნიტაზი; 149. სლატინა; 151. კირქვა; 153. იანჯოუ; 154. კაისა; 160. ოფისი; 161. ბარქაია; 164. საფარა; 167. ღალა; 168. ფალსტაფი; 169. სამყარო; 170. ბილინგვა; 171. ქვა; 172. პარიზი; 173. მარადონა; 174. პანი; 177. რომი; 178. ეში; 180. ბახმარო; 181. გრაციანი; 183. ჯან; 185. მოქრთამვა; 186. რუკა; 187. ინტერნაციონალისტი; 188. ზმა; 189. ბრიგანტინა; 190. ბაგრატი; 191. იაქი; 192. იუდეა; 193. ფარაონი; 194. ვიზა.

შვეულად: 1. ტენარონი; 2. რიუნოსკე; 3. ინგა; 4. გდანსკი; 5. ნოისი; 6. ოვეისი; 7. ენკენისთვე; 8. ტირადა; 9. ანემია; 10. თრიაქი; 11. ვიზირი; 12. ატა; 13. ნარვა; 14. შოუ; 15. თუში; 16. ასტრა; 17. მირაჟი; 18. ასა; 19. ვარშავა; 20. ლიმოჟი; 21. ომარი; 22. ბუდე; 23. არანჟირება; 24. ნუნისი; 25. ოინი; 27. ალი; 31. ვარნა; 32. აფსკა; 33. ანი; 35. მერი; 39. იონია; 40. კილიმანჯარო; 41. ცეცხლი; 43. ულტრა; 44. ემსი; 45. ვიოლინო; 46. ასინეთა; 53. ამოტი; 54. კრატერი; 55. მგელაძე; 56. ვიკინგი; 57. ლაკომბი; 58. შარვაძე 59 ჩიანელი 60 კვესელავა 61 პავიანი 62 სკა 63 უკილო65. ადამი; 66. ალიანსი; 68. იმრე; 69. ლიბრი; 73. ლიმონა; 74. მონოპოლიზაცია; 76. მავრიტანია; 80. ბანკეტი; 83. ავტო; 84. როიალი; 85. სამანტა; 87. ადესა; 88. აკელა; 89. ენოტი; 90. ოტავა; 91. ერერა; 93. ილარიონი; 95. კურო; 96. ასაკი; 100. ანდორა; 106. ერებუნი; 107. ინოზიტი; 108. ავიაცია; 109. რომანსი; 110. ემირატი; 111. სლოკინი; 114. ბიო; 116. ალე; 119. მაფია; 120. აფრასიაბი; 121. სიფრიფანა; 122. ტაუერი; 123. გეიშა; 125. ბის; 127. ამალგამაცია; 128. სალიერი; 130. ვენა; 131. კიკუ; 134. ტივი; 136. ანკა; 141. ბარნაბა; 144. ქსოვრისი; 145. ნოლაი; 146. ოკლაჰომა; 147. საფიხვნო; 148. აიაზმა; 150. ლამა; 152. პელიო; 155. ალია; 156. ატმორი; 157. აფრიკა; 158. ასორტი; 159. ფრონე; 160. ალპანა; 161. არიქა; 162. ანა; 163. აბატი; 165. აორტა; 166. ქერჩი; 168. რამპა; 170. ნუცა; 174. ირჟი; 175. ჯორი; 176. ნატო; 179. მზე; 180. თხა; 181. ანუ; 182. აბა; 184. იქა.